„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
ს. ტეფნაძე
24 03 2025
დადგენილება № 05/04

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულება

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
2 ცვლილებები 3
2.1 ცვლილებების ისტორია **3**
3 მოქმედი გვერდების სია 4
4 დოკუმენტაციის კონტროლი 5
4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია **5**
5 ძირითადი ნაწილი 6
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 6
მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პოლიტიკა 6
მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები 8
მუხლი 4. ცენტრის უფლებამოსილება და მოვალეობები 9
მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალი 10

2 ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

3 მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
-	1	0	თებერვალი 2025					
1	2	0	თებერვალი 2025					
2	3	0	თებერვალი 2025					
3	4	0	თებერვალი 2025					
4	5	0	თებერვალი 2025					
5	6	0	თებერვალი 2025					
5	7	0	თებერვალი 2025					
5	8	0	თებერვალი 2025					
5	9	0	თებერვალი 2025					
5	10	0	თებერვალი 2025					
5	11	0	თებერვალი 2025					

4 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში ცენტრი), წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად;
2. წინამდებარე დებულება ადგენს და არეგულირებს ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მუშაობის მიზნებს და ამოცანებს, განსაზღვრავს ცენტრის უფლებამოსილებას, ფორმირების წესს, სტრუქტურას, მართვის პრინციპებს მის ფუნქციონირებასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
3. ცენტრი იქმნება, რეაბილიტაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტის საფუძველზე;
4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ცენტრს სათანადო ფართით, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ინვენტარითა და შრომის სათანადო პირობებით;
5. ცენტრის დაფინანსება ხორციელდება საუნივერსიტეტო, სახელშეკრულებო და საგრანტო წყაროების საშუალებით და წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის შემადგენელ ნაწილს.
6. ცენტრის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მეცნიერებისა და განათლების საკითხებით დაინტერესებულ უნივერსიტეტის და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულების თანამშრომლებს და სტუდენტებს.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პოლიტიკა

1. ცოდნის გადაცემა და სამეცნიერო კვლევის ჩატარება უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, რომლის ეფექტურად განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მკვლევარებს/მეცნიერებს გარანტირებული აქვთ გარკვეული თავისუფლებები და აცნობიერებენ შესაბამის პასუხისმგებლობებს;
2. უნივერსიტეტი ემხრობა კვლევის შემდეგ პრინციპებს:
   - 2.1. თითოეული მკვლევარი უნდა იყოს თავისუფალი კვლევის თემის, საქმიანობისათვის სხვადასხვა წყაროებიდან მხარდაჭერის მოძიებასა და აღმოჩენებისა და დასკვნების ფორმულირებაში;
   - 2.2. ეს აღმოჩენები და დასკვნები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდგომი განხილვისა და რეცენზირებისათვის;
   - 2.3. კვლევა უნდა ხორციელდებოდეს პროფესიული ეთიკის დაცვით და არ უნდა არღვევდეს ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების და სხვა ფუნდამენტური უფლებების შესახებ დადგენილ პრინციპებს;
   - 2.4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კვლევისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობას;
   - 2.5. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული რესურსების გამო, უნივერსიტეტს არ შეუძლია ყველა კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელი მოთხოვნების უზრუნველყოფა, იგი ახდენს კვლევის პროგრამების შერჩევას და უზრუნველყოფს უპირველესი მნიშვნელობის მქონე პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სივრცის, რესურსების, სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყოფას;

2.6. თითოეულ მკვლევარს გააჩნია პირადი პასუხისმგებლობა დარწმუნდეს, რომ კვლევის წარმოება, კვლევის დაფინანსების წყაროები და კვლევის შედეგების გამოყენების დანიშნულება არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს და პროფესიულ ეთიკას;

3. თითოეული მკვლევარი ვალდებულია:

3.1. დაიცვას გარემოს უსაფრთხოება;

3.2. სწორად გამოიყენოს კვლევის რესურსები;

3.3. კვლევისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები გამოიყენოს ხელშეკრულების/ შეთანხმების პირობების შესაბამისად, რომელთა საფუძველზეც თანხები იქნა გამოყოფილი/მიღებული;

3.4. აღიაროს სხვების მიერ კვლევაში შეტანილი ინტელექტუალური წვლილი და გაავრცელოს კვლევის შედეგები.

კვლევის შედეგების გამოქვეყნება და გავრცელება;

1. უნივერსიტეტი მხარს უჭერს და ხელს უწყობს კვლევის შედეგების დროულ და კეთილსინდისიერ გავრცელებას. კვლევის შედეგების გავრცელება ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით, როგორიცაა პუბლიკაციები აკადემიურ ჟურნალებში, ვებ-გამოცემები, გამოფენები, პროფესიული ან ინსტიტუციური სემინარები და ა.შ;

2. მკვლევრებს უფლება აქვთ გაავრცელონ კვლევის შედეგები ფართო მასებში, თუ ეს არ არღვევს ინტელექტუალური საკუთრების, კონტრაქტის ან კონფიდენციალურობის დაცვის პირობებს;

3. ავტორობის უფლება არ უკავშირდება კვლევაში მონაწილე პირის თანამდებობას ან პროფესიას. ნებისმიერ აკადემიურ გამოცემაში ავტორად დასახელებისათვის მკვლევარს მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი კვლევის კონცეფციისა და პროექტის შემუშავებაში, კვლევის მონაცემების დამუშავებაში, ნაშრომის ნაწილების ჩამოყალიბებასა და კონკრეტულ კვლევასთან დაკავშირებულ სხვა სახის საქმიანობაში;

4. კვლევის ავტორებს მოეთხოვებათ კვლევის საბოლოო, დამტკიცებული ვერსიის გამოქვეყნება ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული მეთოდით;

5. მასალების მიწოდება, ტექნიკური დახმარება, გაზომვები, რომლებსაც ეფუძნება პუბლიკაცია, ფინანსური მხარდაჭერა ან მონაცემთა მოგროვება აღიარებული უნდა იქნას ნაშრომში შეტანილ წვლილად, მაგრამ აღნიშნული სახის საქმიანობა არ ითვლება თანაავტორობის საფუძვლად;

6. კვლევის ჯგუფის ზედამხედველობა არ წარმოადგენს კვლევის ავტორობის საფუძველს. კვლევის ზედამხედველად დასახელება ავტომატურად არ გულისხმობს კვლევის/ნაშრომის ავტორობას;

7. კვლევაში მონაწილე თითოეული პირი პასუხს აგებს კვლევის ნამდვილობაზე, ორიგინალობასა და მთლიანობაზე.

ინტერესთა კონფლიქტი:

1. უნივერსიტეტი აღიარებს, რომ კვლევის დროს შესაძლოა წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტი რისკის ქვეშ აყენებს კვლევას, კვლევაში მონაწილე პირებსა და უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი იმედოვნებს, რომ კვლევაში მონაწილე პირები ღიად აღიარებენ ნებისმიერ ირიბ თუ აშკარა ინტერესთა კონფლიქტს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კვლევის პროცესზე ან შედეგებზე. კვლევაში ჩართულმა პირებმა უნდა მოახდინონ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება, აღიარება და ეფექტური მართვა კვლევის კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის დასაცავად.

უწყებათაშორისი ერთობლივი კვლევები:

1. უნივერსიტეტი მხარს უჭერს და ეხმარება მკვლევრების, კვლევითი დაწესებულებებისა და სამრეწველო ორგანიზაციების თანამშრომლობას. ერთობლივი კვლევა წარმოქმნის ინტელექტუალურ საკუთრებასთან, ინტერესთა კონფლიქტთან, ეთიკურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს და მონაცემთა მართვასთან, კვლევის შედეგების გამოქვეყნებასა და კომერციული მიზნებით გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს;
2. უნივერსიტეტი ერთობლივ კვლევებში მონაწილე პირებისაგან მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობის, ნორმატიული აქტებისა და კონტრაქტით განსაზღვრული პირობების ზედმიწევნით დაცვას, რაც წარმოადგენს ჩამოთვლილი სირთულეების ეფექტურად დაძლევის საწინდარს.

კვლევითი გადაცდომა:

1. უნივერსიტეტი გმობს ნებისმიერი სახის კვლევით გადაცდომას და არაეთიკურ საქციელს. კვლევის პოლიტიკისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის ყველა შემთხვევას განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი დისციპლინური კომისია.

მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები

ცენტრის მიზანია:

1. საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების კვლევა და ინოვაციების დანერგვა;
2. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი გაუმართავობების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;
3. საჰაერო ხომალდების ფრენების უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა საექსპლუატაციო ფაქტორების გათვალისწინებით და მათემატიკური მოდელირების გამოყენებით;
4. საჰაერო ხომალდების და ძრავების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის მეთოდების შემუშავება;
5. ავიაკომპანიების მარკეტინგული კვლევების განხორციელება, საჰაერო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაციის ეფექტურობის გაზრდისათვის.

ცენტრის ამოცანებია:

1. საავიაციო დარგის წინაშე მდგარი საფრენოსნო-საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება;
2. კვლევის პერსპექტიული, პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება და მათ საფუძველზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება;
3. მრავალმხრივი საექსპერტო-სამეცნიერო მომსახურებისა და კონსულტაციების ორგანიზება;
4. სამოქალაქო ავიაციის, ავიამშენებლობის და მონათესავე დარგებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
5. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სემინარების და/ან სხვა ორგანიზაციაში მუშაობაში მონაწილეობის მიღება;
6. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის განვითარება და პოპულარიზაცია ავიაციის დარგში;
7. კვლევის შედეგების რეალიზაციისა და დანერგვის ხელშეწყობა და სასწავლო საქმიანობაში კვლევის შედეგების ინტეგრირება.

მუხლი 4. ცენტრის უფლებამოსილება და მოვალეობები

1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ცენტრის წევრები ინიშნებიან და სამუშაოდან თავისუფლდებიან უნივერსიტეტის რექტორის მიერ ცენტრის ხელმძღვანელის წარდგენის საფუძველზე.
2. ცენტრი ახორციელებს მრავალფუნქციურ, ფართომასშტაბურ და მრავალპროფილურ საქმიანობას თავისი მიზნებისა და ამოცანების, პროფილის, პოტენციალისა და შესაძლებლობების ფარგლებში.
3. მონაწილეობს ნაშრომთა კრებულების, ჟურნალ-გაზეთების, სარეკლამო, საგანმანათლებლო და სხვა ხასიათის ბუკლეტებისა და პროდუქციის მომზადებასა და გამოშვებაში.
4. უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით ამყარებს საქმიან ურთიერთობებს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის საავიაციო საწარმოებთან, ეკონომიკურ აგენტებთან, ავიაკომპანიებთან, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დაწესებულებებთან.
5. საგრანტო და სახელშეკრულებო სამეცნიერო თემების მოზიდვის შემთხვევაში ცენტრის ხელმძღვანელი უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, მოიწვიოს სპეციალისტი (სპეციალისტები) თემის სპეციფიკის, მოცულობისა და სათანადო კალკულაციის შესაბამისად.
6. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს მოხსენებას გაწეული საქმიანობის შესახებ წელიწადში მინიმუმ ერთხელ. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება ცენტრის მუშაობის შეფასება, რომლის ეფექტურობის მექანიზმები ითვალისწინებს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:
   - 6.1. გამოგონებაზე პატენტის მიღება;
   - 6.2. თემის მიხედვით სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებას ადგილობრივ და უცხოურ ჟურნალებში;
   - 6.3. პარტნიორ ორგანიზაციებში (საწარმოებში, კომპანიებში) თემის შედეგების განხილვას და შესაბამისი რეკომენდაციების მიღებას საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის;
   - 6.4. კვლევის შედეგების წარმოებაში დანერგვას, ეკონომიკური ეფექტების მიღწევას. თემის შინაარსის საფუძველზე საკვალიფიკაციო (სადოქტორო, სამაგისტრო) სამუშაოების შესრულებას, კვლევის შედეგების ინტეგრირებას სასწავლო საქმიანობაში (სასწავლო-მეთოდური მითითებები და სხვ. შექმნა).
7. უხელმძღვანელოს და ორგანიზება გაუწიოს ცენტრში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებას, განსაზღვროს მისი განვითარების პერსპექტივები.
8. შეარჩიოს და სრულყოს კვლევისა და სამუშაოთა ჩატარების მეთოდები და საშუალებები.
9. განსაზღვროს კვლევის პრიორიტეტები.
10. უზრუნველყოს საგრანტო და სახელშეკრულებო თემების შერჩევისას გამჭვირვალობის შენარჩუნება შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის ინტერდისციპლინურობა.
11. თემის შერჩევისას თითოეულ კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით. კონკურსის შემთხვევაში ხდება ჯამური 35 ქულიდან უფრო მაღალი ქულის მქონე პროექტის გამოვლენა, დამტკიცება და შემდგომი დამუშავება.
12. ანგარიში წარუდგინოს მმართველ საბჭოს ჩატარებული სამუშაოების შეფასების შესახებ.
13. გამოვიდეს კვლევის შედეგების სასწავლო საქმიანობაში ინტეგრირების ინიციატივით, ასევე საჭიროების შემთხვევაში კვლევის შედეგების გასაჯაროებით.

14. შეიმუშაოს ღონისძიებები და უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულებული სამუშაოების წარმოებაში დანერგვა.
15. ხელი შეუწყოს თანამშრომელთა მიერ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას.
16. დაიცვას უნივერსიტეტის დებულებისა და შრომის კოდექსის მოთხოვნები.

მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალი

1. სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჰყავს სამეცნიერო პერსონალი: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი და პოსტდოქტორანტი.

სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი:

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
2. ღია კონკურსის ჩატარებისა და სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ,,აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი“-ს მიხედვით.

სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები:

1. სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.
2. სამეცნიერო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
   - პირადი განცხადება;
   - ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
   - დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
   - შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;
   - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
3. აკადემიური თანამდებობისა და სამეცნიერო თანამდებობის შეთავსების საკითხი რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

მეცნიერის უფლებები და მოვალეობები:

1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებით და შრომითი ხელშეკრულებით.
2. მეცნიერს უფლება აქვს:
   - გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
   - დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
   - მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
   - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს

ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება.

3. მეცნიერი ვალდებულია:
   - შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
   - შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
   - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

4. უნივერსიტეტი და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.